ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №24 (7099) 15 დეკემბერი 2023 წელი

ახალი—2024 წლის შესახვედრად!

სულ რაღაც რამდენიმე დღე და ჩვენს პლანეტაზე, ჩვენს სამშობლოში, თითოეული ჩვენგანის ოჯახში ახალი—2024 წელი შემოაბიჯებს...

თერჯოლის თვითმმართველობა, როგორც ყოველთვის, ამ დროს, მომავალი წლის შესახვედრ აქტიურ მზადებაშია. საზეიმოდ მოეწყობა ქალაქი თერჯოლა, დაიდგმება ცენტრალური ნაძვის ხე და მოხდება მისი საზეიმოდ ანთება. სწორედ ამ ნაძვის ხესთან გაიმართება სამთავრობო საახალწლო ღონისძიება 29 დეკემბერს, ხოლო 31 დეკემბერს მთავარი საახალწლო ღონისძიება თერჯოლელთა შემოქმედებითი ძალებით.

ახალი წლის დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში სხვა მრავალი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი, 7 იანვარს კი მუნიციპალიტეტში პირველად მოეწყობა საშობაო-საზეიმო მსვლელობა—„ალილო“...

წინასაახალწლო დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ოჯახებში, საახალწლო საჩუქრებით, პირადად ეწვევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გარკვეული კატეგორიის 200-მდე ბენეფიციარის ოჯახს.

მონაწილეობა მიიღეთ საახალწლო ღონისძიებებში, ვიზეიმოთ ახალი წლის შემობრძანება... სიკეთით იყოს მისი შემოსვლა ჩვენს ოჯახებში...

მშვიდობა, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა, შვილთ მრავლობა და მატება დაგვბედებოდეს!..

მრავალჟამიერ!

17 დეკემბერი ბარბარობა. გილოცავთ!

ამბები თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრიდან

☞4,5

კონკურსი—„საახალწლო სივრცე ჩემს ქალაქში“

გინდათ ჩაერთოთ ჩვენი ქალაქის საახალწლოდ მორთვაში?

ალბათ, რა თქმა უნდა, დიახ!

მაშინ შემოგვიერთდით და ერთად შევქმნათ საახალწლო გარემო.

იმისათვის, რომ ამაღლებული განწყობით შევხვდეთ ყველაზე ჯადოსნურ დღესასწაულს, მაშინ ჩაერთეთ კონკურსში „საახალწლო სივრცე ჩემს ქალაქში“, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით ცხადდება ქალაქ თერჯოლის მთელს ტერიტორიაზე.

თუ თქვენ ცხოვრობთ ქალაქ თერჯოლაში, გადაუღეთ ფოტო თქვენს საცხოვრებელ სახლს, კორპუსს, აივანს, ეზოს ან თქვენს კომპანიასა თუ ორგანიზაციას, სადაც ორიგინალურად და შემოქმედებითად გექნებათ მორთული თქვენი სივრცე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მორთონ თავიანთი სივრცეები 10 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით. საკონკურსო ფოტო გამოაგზავნეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქ გვერდის პირად შეტყობინებაში ან შეავსეთ მითითებული ბმული.

კონკურსის სამ საუკეთესო სივრცეს სპეციალურად მოწვეული ჟიურის წევრები გამოავლენენ (ჟიური თითოეულ სივრცეს ადგილზე გასვლით შეაფასებს). გამარჯვებულებს ფულად ჯილდოდ ათას-ათასი ლარი გადაეცემათ.

დაიწყე საახალწლო განწყობის შექმნა დღესვე!

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით;

საკონტაქტო პირები:

მარიამ ქველიძე- 598 707 540

ნინო ლილუაშვილი-598 800 910

https: / / terjola.gov.ge

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

გარდაიცვალა ცნობილი საოპერო მომღერალი მედეა ამირანაშვილი

93 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მედეა პეტრეს ასული ამირანაშვილი.

მედეა ამირანაშვილი იყო ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი. მისი დებიუტი სცენაზე 1954 წელს მოხდა (მარგარიტა, გუმოს „ფაუსტი“) და ასრულებდა სოპრანოს მთავარ პარტიებს: მარო, ეთერი, მარეხი (ფალიაშვილის „დაისი” და „აბესალომ და ეთერი“), მზია (თაქთაქიშვილის „მინდია“), ლელა (ლაღიძის „ლელა“), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ზემფირა (რახმანინოვის „ალეკო“), მიმი (პუჩინის„ჩიო-ჩიო-სანი“ და „ბოჰემა“), ლეონორა, ვიოლეტა (ვერდის „ტრუბადურები” და „ტრავიატა“) , ელზა (ვაგნერის „ლეინგრინი”) და სხვა. ფილმებში—„აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ , „ჭრიჭინა“ ახმოვანებდა ეთერს.

მისთვის დამახასიათებელი იყო ფართო ვოკალურ-არტისტული დიაპაზონი, შინაგანი ექსპრესია და შემოქმედებითი დისტანცია. იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს ქვეყნების საოპერო თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში. 80-იანი წლებიდან ის იყო ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი, 1991 წლიდან ქუთაისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. მიღებული ჰქონდა შემდეგი ჯილდოები: 1962 წ.-გლინკას სახელობის კონკურსი (მოსკოვი). 1965 წ.- საქართველოს სახალხო არტისტი. 1970 წ-„მადამ ბატერფლაის“ საერთაშორისო კონკურსი. 1971 წ.-ზ.ფალიაშვილის სახელობის პრემია. 2021 წ.-თამარ მეფის ორდენი „ქართულ საოპერო ხელოვნებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის.

ქალბატონი მედეა 1988 წელს პირადად ღებულობდა მონაწილეობას თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში, მამისა და ბიძის, პეტრე და შალვა ამირანაშვილების მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნაში. ქუთაისში მისი მოღვაწეობის წლებში იგი განსაკუთრებულად მზრუნველობდა ამ მუზეუმს, თერჯოლას, ჩხარსა და თერჯოლელებს კი ყოველთვის თბილად და დიდი სიყვარულით მოიხსენიებდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, მისი საზოგადოებრიობა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ სახელმოხვეჭილი მომღერლის, მსოფლიო მასშტაბის ცნობილი სოპრანოს, ქალბატონი მედეა ამირანაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და საგვარეულოს.

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა ქალბატონი მედეას სულს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია,
მუნიციპალიტეტის საკრებულო,
გაზეთი „თერჯოლა“

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მორიგი გამწვანების აქცია

ეს აქცია, ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით გაიმართა.

აქციის ფარგლებში, რომელიც თერჯოლის შემოსასვლელში, ავტობანის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო, სხვადასხვა ჯიშის მსხმოიარე ხეები დაირგო.

გამწვანების აქციაში მონაწილეობა მიიღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ა(ა)იპების თანამშრომლებმა.

ღონისძიების მიზანია ჯანსაღი გარემოს შექმნა და შენარჩუნება, ასევე ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

თერჯოლის მერია მუნიციპალიტეტში პერიოდულად კვლავ განახორციელებს სხვადასხვა სახის გარემოსდაცვით ღონისძიებებს.

აღიარება

2023 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისში, არტ-ჰოლში მიწვეულ იქნა ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ფილიალის ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლის მომღერალთა გაერთიანებული გუნდი (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი). გუნდმა თავისი შთამბეჭდავი გამოსვლით მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა და მოიპოვა პირველი ადგილი, რის გამოც დასაჩუქრდნენ პირველი ხარისხის დიპლომებითა და მედლებით.

ვულოცავთ!

აჯამებენ გაწეულ საქმიანობას

გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით თექა-გობელინის შემსწავლელი კლუბის შემაჯამებელი პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე მოსწავლეებმა მიმოიხილეს და წარმოადგინეს უძველესი ტრადიციული ქართული ხალხური რეწვის ნიმუშები.

შემაჯამებელ აქტივობას მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელთან, ნინო ოქრუაძესთან ერთად შეუერთდა. ამ კლუბის ხელმძღვანელს ხათუნა გურულს და კლუბის თითოეულ წევრს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის და სამომავლოდ წარმატებები უსურვა.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი ბავშვთა და ახალგაზრდობის თავისუფალი დროის მიზნობრივ გამოყენებას ემსახურება, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გაიღრმაონ ცოდნა კონკრეტულ საგანში ან დაეუფლონ მათთვის საინტერესო საქმიანობას.

წინასაახალწლო დღეებში...

წინასაახალწლო დღეები მეურნე ადამიანის ოჯახისა თუ ნებისმიერი ორგანიზაცია-დაწესებულების ხელმძღვანელისათვის განსაკუთრებით დატვირთულია. ეს დღეები ასევე დატვირთულია მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, მათი წარმომადგენლობის თუ სამსახურებისთვის. ახალ წლამდე ყველაფერი უნდა მოესწროს. ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს. „ქვეყანაში შარშანდელი პირველობა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, საშემოსავლო თუ საკასო ვალდებულებების შესრულების საქმეში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავთმოთ“—ასეთია მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა, რომელსაც მხარს აქტიურად უჭერენ როგორც მერიის სამსახურები, ისე ყველაზე მთავარი პარტნიორი— მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მალე ახალი ტურისტული სივრცე გვექნება

სოფელ ძევრში ახალი ტურისტული სივრცე უახლოეს პერიოდში გაიხსნება.

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით გოგბერაშვილთან, ასევე ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარ დეპუტატთან, მანუჩარ ფანჩულიძესთან და მერიის ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელთან, სოფიო ბუსკივაძესთან ერთად დასკვნითი ეტაპის სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა.

ამ დროისთვის დასრულებულია საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე გაბიონებისა და მდ.ძერულაზე გადასახედების, საინფორმაციო ცენტრის, საპიკნიკე ფანჩატურების, გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკის მშენებლობა, პარალელურად მოეწყო

გამწვანება და პროცესი გრძელდება.

პროექტის დასრულების შემდეგ, სოფელ ძევრს კომფორტული და ტურისტულად მიმზიდველი რეკრეაციული სივრცე შეემატება.

პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

სოფელ ახალთერჯოლის უწყვეტი წყალმომარაგებით 630 ოჯახი ისარგებლებს

ამ დღეებში ამ წყალსადენის სამშენებლო სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან, ასევე საკრებულოს წევრ ბიძინა ბუცხრიკიძესთან ერთად უკვე მერამდენედ ეწვია და მდგომარეობას საფუძვლიანად გაეცნო.

„უწყვეტი წყალმომარაგება სოფლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ჩვენ მათ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას დავპირდით. ამ დროისთვის სამუშაო პროცესი ინტენსიურად ხორციელდება, რომლის დასრულების შემდეგ სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს“—აცხადებს მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე.

პროექტის ფარგლებში, წყლის ცენტრალურ რეზერვუარს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო მიმწოდებელი მაგისტრალები და საქლორატორო, პრაქტიკულად დამთავრებულია მოსახლეობის 95%-ის გამრიცხველიანება.

სოფელ ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯი-ი-ეს“ ახორციელებს. სამუშაოების ღირებულება 2 205 000 ლარია.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ...

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ჩხარი-ზედა ალისუბნის დამაკავშირებელ გზაზე არსებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია.

წინასაახალწლო დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილეებთან, დავით გოგბერაშვილთან და ჯემალ ისაკაძესთან ერთად სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, პროექტის შესრულების მიმდინარეობას გაეცნო და ადგილობრივებს გაესაუბრა.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ხიდის საყრდენი კედელი, გამშვები და მიმღები ფრთები, სავალი ნაწილი და მოაჯირები. სამშენებლო სამუშაოებს შპს „საგო" ახორციელებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოთხი ბენეფიციარების საცხოვრებელი სახლის აღდგენითი სამუშაოები დასრულდა. დასკვნით ეტაპზეა ერთი სახლის რეაბილიტაცია.

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით

გოგბერაშვილთან ერთად რამდენიმე ოჯახში პირადად იმყოფებოდა, დასრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო, ბენეფიციარებს გაესაუბრა და სამომავლოდ მხარდაჭერას დაჰპირდა.

მიმდინარე წელს, ძლიერი სტიქიის შედეგად რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი სახლი დაზიანდა. კერძოდ, ჩამოინგრა სახურავი და საყრდენი კედლები. მერის ჩართულობით მოხდა აღნიშნული ოჯახებისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, ხოლო დემონტაჟისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ დაიწყო აღდგენითი სამუშაოები.

სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

სამუშაო შეხვედრას ღვანკითისა და რუფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, შალვა ჭანკვეტაძე, ბარდუბნისა და ეწრის მაჟორიტარი დეპუტატი, გოჩა ვერულაშვილი, საკრებულოს წევრები, კობა კაკაძე და ბიძინა ბუცხრიკიძე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქმე, რომელიც საუკუნეს გაუძლებს

ის დღე ბუნებრივი აირი რომ შემოიყვანეს თერჯოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე იყო რაიონის ცხოვრებაში.

უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი რაიონული გამგეობის შენობის წინ. ვეება ფიალაში საზეიმოდ აინთო გაზის ჩირაღდანი. იაფი საწვავი მიიღო ქალაქმა და აქ განთავსებულმა ფაბრიკა-ქარხნებმა, ეტაპობრივად დაიწყო შემოგარენის გაზით უზრუნველყოფა...

მას შემდეგ 4 ათეულ წელზე მეტმა გაიარა, მეტალის მილებმა აქამდე გაუძლო ექსპლოატაციას, მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი აქვს და რა გასაკვირია თუ „ჟანგმა ჭამა რკინა", შესაბამისად, პრობლემები შეიქმნა ქალაქის მცხოვრებლებისათვის ბუნებრივი აირის ყოველდღიური რეჟიმით მოწოდებაში. ხან ერთ ადგილას იჩენდა ავარიული ვითარება თავს, ხან მეორე ადგილას, ცხადია დიდი იყო საწვავის დანაკარგებიც.

დღის წესრიგში დადგა გაზგაყვანილობის სისტემის მთლიანად შეცვლა. რკინას უნდა ჩანაცვლებოდა სადღეისოდ აპრობირებული, თანამედროვე მასალები—პოლიეთილენის მილები.

სააქციო საზოგადოება „საქორგაზი"-ს თერჯოლის სერვისცენტრის (მენეჯერი გ. ზაუტაშვილი) დაკვეთით, სამუშაოების შესრულებას შეუდგა „არქმშენ-სერვისი".

ახალი ქსელის გაყვანა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. როგორც სერვისცენტრის მენეჯერმა გვითხრა, ცენტრალური გაზგაყვანილობა, ქალაქის მასშტაბით, საახალწლოდ უნდა დამთავრდეს, პარალელურ რეჟიმში დაიწყება გაზის ძველი მილების დემონტაჟი და ახალი, პოლიეთილენის მილებით აბონენტებისათვის გაზის მიწოდება. სამუშაოები ახალი წლის აპრილის თვეში მთლიანად დამთავრდება.

შევხვდით და ვესაუბრეთ მშენებელი კომპანიის „არქმშენ-სერვისის" წარმომადგენლებს, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ქსელის შეცვლა. ჩვენი მიზანია, გვითხრეს მათ, საქმე შესრულდეს დადგენილ დროში და ხარისხიანად. ხედავთ ალბათ, რომ სამუშაოები ადრიან დილიდან შებინდებულსაც მიმდინარეობს, შაბათ-კვირასაც კი, ამინდების კაპრიზების მიუხედავად. საქმე იუვილერის სიზუსტეს მოითხოვს, რადგან წყლის გაყვანილობა არ დაზიანდეს და მეორეც, ცენტრალურ მსხვილ მილებზე აბონენტთა შედარებით მცირე დიამეტრის მილები ისე უნდა იქნეს შედუღებული, რომ სრულიად იქნას დაცული ჰერმეტულობა.

კომპანიის მუშაკებთან ერთად დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელიც, შეთანხმებულად, პროფესიონალურად იღწვიან და გრაფიკის სრული დაცვით

წარმართავენ საქმეს, მათ შორის: მომმარაგებელი ლუკა ბასილაძე, ექსკავატორის მემანქანეები—ენვერ ასლამაზიშვილი, გიორგი გინტური, ნოდარ ასლამაზიშვილი, დავით რევიშვილი, შემდუღებლები—ნოდარ ასლამაზიშვილი, დავით მურადაშვილი, მძღოლები—ხვიჩა პეტრიაშვილი, ზაზა იაკობიძე.

პოლიეთილენის მილები, რომლითაც გაზგაყვანილობის ძველი სისტემა იცვლება, მაღალი ხარისხისაა, ექსპლუატაცია საიმედო, საუკუნეს გაუძლებს. იგი საახალწლოდ მართლაც კარგი საჩუქარია თერჯოლელებისათვის.

ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ.

ი. ერაძე

წყალი ყველა სოფელს ექნება, ოღონდ...

გაზეთის წინა ნომერში ქალაქის მუდმივი წყლით მომარაგებისა და ამ კუთხით მომავალში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ვაუწყეთ მკითხველებს. ამჯერად სოფლებში არსებულ მდგომარეობას შევეხებით. პრობლემის ირგვლივ სასაუბროდ შევხვდით და განმარტებები ვთხოვეთ მერიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს ტარიელ ფანჩულიძეს და ამავე სამსახურის, სოფლების წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელს ბესო დოლაკიძეს.

სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, გვითხრეს მათ, მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებელთა წყლით მომარაგება კარგა ხანია ჩვენს კომპეტენციაში შედის და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ წყლის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს, არა მარტო სოფლების ცალკეულ უბნებს, არამედ მთლიანად მთელ სოფლებს ჰქონდეს 24 საათიანი წყალმომარაგება. ამ კუთხით ყოველდღიური საქმიანობა წარიმართება უშუალოდ მერიის ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით. დღეისათვის მთლიანად წყლით უზრუნველყოფილია სოფლები: კვახჭირი, ჭოგნარი, ზედა სიმონეთი, სიქთარვა, ბარდუბანი, ჩხარი, გოგნი ზედა და ქვედა ალისუბანი, ღვანკითი, გოდოგანი (ჭალასთავი და ბროლიქედი), საზანო ნაწილობრივ. ამ სოფლების წყალგაყვანილობის სისტემების ექსპლუატაციასთან ერთად ყურადღებას ვაქცევ და საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოებს ვასრულებთ მოსახლეობის იმ უბნებში, სადაც ინდივიდუალურად აქვთ წყალი მიყვანილი. სარემონტო სამუშაოები და საერთოდ სისტემის წესრიგში ყოფნა თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ პრაქტიკაში უკვე დანერგილია აბონენტის გამრიცხველიანება და გახარჯული წყლის საფასურის ამოღება. ეს საკმაოდ რთული პროცესია. სადღეისოდ მთლიანად გამრიცხველიანებულია სოფლები: კვახჭირი, ჭოგნარი, ბარდუბანი, ზედა სიმონეთი, სიქთარვა, ღვანკითი, მიმდინარეობს სოფელ ჩხარში მრიცხველების დაყენება. ყველა ამ სოფელს ემსახურება ინკასატორები, რომლებიც აღრიცხავენ მოხმარებული წყლის ოდენობას და სპეციალურ ქვითარს აბარებენ აბონენტს, რომ მათ არ მოუწიოთ თანხის ჩარიცხვისათვის ქალაქში სიარული და დროის ხარჯვა, სპეციალურ სამსახურს გავუფორმეთ ხელშეკრულება, რომლის მუშაკები მობილური სალარო აპარატებით, თვის გარკვეულ დღეს, მიდიან სოფლებში და კრებენ თანხას.

გვინდა მადლიერება გამოვხატოთ იმ აბონენტების მიმართ, რომლებიც გაგებით ეკიდებიან საქმეს და გახარჯული წყლის ღირებულებას კეთილსინდისიერად იხდიან, მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც თავს არიდებენ თანხის გადახდას. მაშინ, როცა გადასახდელი თანხა არცთუ დიდია (1 ტონა წყლის ღირებულება მერიის დადგენილებით მხოლოდ 40 თეთრს შეადგენს). ასეთების გამოა, რომ დავალიანება საკმაოდ სოლიდურია. მაგ. სექტემბრის თვეში 7 სოფლიდან უნდა ამოგვეღო 13 600 ლარი, ფაქტიურად ამოვიღეთ 11 400 ლარი. წლის განმავლობაში კი დღემდე აბონენტთა დავალიანება 60 000 ლარს შეადგენს. კვლავ გვინდა ურჩ აბონენტთა გასაგონად ვთქვათ, რომ ამოღებული თანხების ძირითადი ნაწილი ისევ წყლის გაყვანილობის ნორმალური ფუნქციონირებისთვის და პერიოდულად დაზიანებების სასწრაფო შეკეთებისთვის არის მიმართული. მარტო ამ წელში ჭოგნარში, კვახჭირში, გოდოგანში უამრავი დაზიანება იყო შესაკეთებელი, რომელთაც დიდი ოდენობით მასალები და ტექნიკური საშუალებები დასჭირდა.

რა თქმა უნდა შეგვიძლია გავატა-

როთ რადიკალური ზომები, მაგრამ თავს ვიკავებთ ასეთისაგან. მაგ. ბუნებრივი აირის მომხმარებლებს, თუკი აბონენტი თანხას არ გადაიხდის, გაფრთხილების შემდეგ ჩაუჭრიან გაყვანილობას. ჩვენ კი ამას ვერ ვიზამთ, რადგან თუ გაზის მომხმარებლები როგორმე მორჩებიან აირის მიუწოდებლობას, ოჯახი უწყლობას ვერ აიტანს. ამიტომ ჯერჯერობით ისევ მორალური ზემოქმედებით ვიფარგლებით, გვჯერა ყველა აბონენტი გაგებით მოეკიდება საქმეს და მომავალში მაინც აღარ შეგვიქმნის პრობლემას ამ მიმართებით. ეს ჩვენი თხოვნაც არის მათდამი და გაფრთხილებაც.

ესაუბრა ი. ერაძე

***რედაქტორის მინაწერი:** თუ, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან სასმელი და ტექნიკური წყლის საფასურის ამოღების პროცესი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა, გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგება შესაბამისი სოფლების წყალის სისტემის ფუნქციონირება.*

ასეთი დასკვნის უფლებას ჩვენს ხელთ არსებული ის მონაცემები გვკარნახობენ, რომლებიც გაწეულ ხარჯებსა და ამოღებულ თანხებს შორის ძალიან დიდ სხვაობას გვიჩვენებს სამწუხაროდ, რომ ხარჯების მეტობის თვალსაზრისით...

დროა, იმ აბონენტთა მიმართ, რომლებიც ელემენტარულ ვალდებულებებს არ ასრულებენ, არ იხდიან დადგენილი გადასახადის შესაბამისი ხარჯების ღირებულებას, ამოქმედდეს ასეთის შემთხვევაში დაწესებული სანქციები.

ამ პროცესზე კი, მხედველობაში გვაქვს წყალხარჯის საფასურის ამოღება, მთელი პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა იკისრონ.

როგორც შევიტყვეთ, ამ მიმართებით მდგომარეობა წლის ბოლოსთვის შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ პრობლემა ჯერ არ ამოწურულა. ანალოგიური ითქმის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანაზე. იმედია, ვითარება აქაც დაიწყებს გაუმჯობესებას.

ამბები თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრიდან

„თერჯოლობა 2023“-ის საზეიმო კონცერტის ექო

მართალია, „თერჯოლობა 2023“-ს ჩვენმა გაზეთმა საკმაოდ ვრცელი მასალები მიუძღვნა, მაგრამ ეს ინფორმაციები სრულყოფილად მაინც ვერ ასახავენ იმას, რაც იმ დღეს ხდებოდა მუნიციპალიტეტში.

ამჯერად გთავაზობთ ინფორმაციას, რომელიც „თერჯოლობაზე“ მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის საზეიმო კონცერტს ასახავს.

კონცერტი, 22 ოქტომბერს ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერის ღია ამფითეატრში გაიმართა და მნახველ-მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

განსაკუთრებული გემოვნებით, დახვეწილი, ორიგინალური დეკორაციებით, სილამაზით იყო გამორჩეული იმ დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრისათვის მონიშნული კუთხე, რომელსაც ცენტრის მოსწავლეები საზეიმოდ ერთად ამზადებდნენ, დირექტორის, ნინო ოქრუაძის და ერთ მუშტად შეკრული შემოქმედი, ენერგიული და გამორჩეული კოლექტივის ძალისხმევით.

სითბოთი და სიყვარულით სავსე მოკრძალებულმა კონცერტმა კი, როგორც მისმა წამყვანებმა: თეკლა მაკარიძემ,

ნინი ქაშაკაშვილმა, ნინუცა ტალახაძემ, ლუკა ფანჩულიძემ, გიორგი კვანტიძემ და ლუკა ჩანთაძემ დააანონსეს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჯერ იყო ღრმა შინაარსით დატვირთულმა სცენარმა იმერეთის და განსაკუთრებით თერჯოლელთა მთელი შემოდგომა დაიტია და არა მხოლოდ შემოდგომა... იყო მეჯლისი ქართული ხელოვნებისა, ცეკვა-სიმღერისა, პოეზიისა, იმერული ადათ-წესებისა, სტუმარ-მასპინძლობისა, სიყვარულისა, მეგობრობისა, გმირობისა.

იყო შეგონება კიდევ ერთხელ იმისა, საოცარი მამული რომ აჩუქა უფალმა ქართველს, ყოველთვის იცოდა იმისი ფასი, სიცოცხლეზე მეტად უყვარდა და ყოველთვის რომ იცავდა ღვთისმშობლის წილხვდომილ თავის სამშობლოს.

დიახ, ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით გაჯერებულმა სცენარმა გარკვეულწილად სრულიად საქართველო დაიტია

მისი ისტორიით, წარსულით, აწმყოთი და მომავლით...

„მიინახა ჭირნახული იმერეთმა და ლხინის ჟამს მეზობელი მეზობელს, მოყვარე მოყვარეს, ნაცნობი უცნობს შეეხმიანა“ და რაღა თქმა უნდა ბაფთიანი გიტარაც ახმიანდა.

იმ დღეს ზეიმობდა თერჯოლა. „ყველას გვემღერება და გვეცეკვება, რადგან აქ ბავშვობაა, ახალგაზრდობაა, სიყვარულია უკიდეგანო“—თქვეს წამყვანებმა და იმერული პოპურის ულამაზესად შესრულებულმა ჰანგებმა, არა მხოლოდ თერჯოლობაზე შეკრებილ საზოგადოებას, სრულიად ქალაქს გადაუარა. ნინო მაჩიტიძის ამ და შემდეგაც ქართულ და ინგლისურ ენებზე შესრულებულმა სიმღერებმა მრავალგზის მოწონება დაიმსახურა.

ყველა ნომერი ცეკვისა და სიმღერის აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა. საუკეთესოდ წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები ცენტრის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბერიკონმა“ (ხელმძღვანელები: ვიტალი და მანუჩარ ლაღაძეები, ზაურ სვანიძე); ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბმა (ხელმძღვანელი რუსუდან კოვზირიძე) მოამზადა ღონისძიების სცენარი, რომელსაც კლუბის არაჩვეულებრივი წამყვანები უძღვებოდნენ; მხატვრული კითხვის კლუბის „ნეკას“ პატარებმა (ხელმძღვანელი ლალა კუპატაძე); ფოლკლორულმა ანსამბლმა „იმედმა“ (ხელმძღვანელი ზურაბ რიჟამაძე); დღის ცენ-

ტრის „იმედის სხივის“ აღსაზრდელებმა: საბა და ლუკა მურადაშვილებმა; სამუსიკო სკოლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი) და სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: თამუნა ბუცხრიკიძემ, ლანა კუბლაშვილმა, მარიამ გვენეტაძემ, მარიამ გურულმა, ასევე სხვა სკოლების, კერძოდ, ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლემ ნინო მაჩიტიძემ, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ თეონა ზაქარაშვილმა, ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლემ ნინი გავაშელაშვილმა.

თერჯოლის მოსწავლეთა ცენტრის ისტორიაში ეს დღეს განსაკუთრებულად ჩაიწერა. ტრადიციულად, ცენტრი მოზარდ თაობას ბავშვობის ფერად დღეებს უხვად ჩუქნის და არც თუ იშვიათად. აქ ახლაც წინასაახალწლო სამზადისის ფაციფუცია. წინ ლამაზი საკარნავალო სანახაობა ელოდებათ ბავშვებს, რომლის მზადების პროცესშიც თავად არიან

აქტიურად და მონდომებით ჩართული, პარალელურად, კლუბებში შემაჯამებელი აქტივობები მიმდინარეობს.

ახალი წარმატებები მათ მომავალ ახალ წელს.

მზია ცქიფურიშვილი

სურვილების სახლის გამხელილი სურვილები

„თერჯოლობა 2023“-ზე მისული საზოგადოების ყურადღება ერთმა, თითქოსდა უბრალო, მაგრამ ძალიან მარტივმა და ამავდროულად ორიგინალურად გაკეთებულმა კუთხემ მიიპყრო „სურვილების სახლის“ სახით, სადაც ყველას შეეძლო შეეტანა მისი ის მოსაზრება თუ წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობს თერჯოლისა და თერჯოლელების უკეთესად ცხოვრებას.

ყუთის გახსნისას მასში 200-ზე მეტი პიროვნების მიერ ჩაშვებული ბარათი აღმოჩნდა.

სასიხარულოა, რომ სურვილებს შო-

რის აშკარად ჭარბობს არა პროფესიული, არამედ ის თემები და საკითხები, რომელთა მოგვარებაც თანაბრად აუცილებელი და მნიშვნელოვანია, როგორც თითოეული თერჯოლელის, ისე მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვისაც.

იმედი დავიტოვოთ, რომ ამ სურვილების დიდი უმეტესობა მალე ასრულდება და თერჯოლას უახლოეს მომავალში ექნება კულტურის ცენტრის და კინოთეატრის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალი შენობები, საცურაო აუზი და დასასვენებელი პარკი საპოვნელაზე, ზოგი სასწავლო-სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალი ნაგებობები და შესრულდება მომავალი მრავალი სხვა ის სურვილი, რომელიც „სურვილების სახლმა“ გაგვიმხილა, ანუ, ამ სურვილების ენითვე რომ

ვთქვათ ახდება ის სურვილებიც, აქვე რომ გთავაზობთ:

„მინდა თერჯოლაში ყველა გამვლელი ადამიანი იღიმოდეს; თერჯოლას და თერჯოლელებს ვუსურვებ მშვიდობას და კეთილდღეობას; თერჯოლა ჩემი ბავშვობაა, წარმატებები; თერჯოლას და თერჯოლელებს ვუსურვებ მშვიდობას და ბევრი კარგი პროექტის განხორციელებას; თერჯოლას ვუსურვებ განვითარებას; მე მინდა რომ ყველაზე ლამაზი მხარე იყოს თერჯოლა; თერჯოლას და თერჯოლელებს ვუსურვებ მუდამ ეზეიმებოდეთ და ედღესასწაულებოდეთ; მე მინდა რომ იყოს სიყვარული; მინდა თერჯოლა ვიხილო მხიარული ახალგაზრდებით სავსე, რადგან ჩვენი ლამაზი ქალაქის მომავალი სწორედ ჩვენს პატარებშია“.

დ. შალიკაშვილი

ამბები თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრიდან

ახალი კლუბები ახალი მიმართულებებით

ახალი სასწავლო წლიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში მუშაობა დაიწყო ხუთმა თემატურმა კლუბმა. ეს კლუბებია:

1. ხელოვნებისა და კულტურის შემსწავლელი კლუბი—ხელმძღვანელი თეა რიჟამაძე.

მიზანი—ახალი თაობის კულტურულ, ინტელექტუალურ და საინტერესო ადამიანად ჩამოყალიბება, მათთვის საბაზისო ცოდნის მიწოდება, კულტურის მოღვაწეების გაცნობა და მათი შემოქმედების გათავისება, ცნობიერების ამაღლება თეორიული და პრაქტიკული სწავლების, ასევე საინტერესო აქტივობების მეშვეობით.

2. მკითხველთა კლუბი—კოორდინატორი სალომე ისაკაძე.

მიზანი—გავუღრმავოთ მოზარდ თაობას წიგნისადმი სიყვარული, გავაცნოთ და ვაზიაროთ როგორც ქართულ, აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურას. ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბებას, ზეპირმეტყველების, აზრის გამოხატვის, მოსმენის კულტურის, სოციალური განვითარების, ინფორმაციისა და საკუთარის აზრის წერილობითი გადმოცემისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა-განვითარებას.

3. მულტიმედიური ჟურნალისტიკის კლუბი „სინემა“—კოორდინატორი ანა რობაქიძე.

მიზანი: კლუბი მიზნად ისახავს მოსწავლეთა თვითრეალიზაციის ხელშეწყობას, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ასევე ახალგაზრდების მედიის გონივრულ და კრიტიკულ მომხმარებლებად ჩამოყალიბებას. ჟურნალისტიკით დაინტერესებულ მოზარდებში თანამედროვე მედია სტანდარტების შესაბამისი, თეორიული, პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარებას, ჟურნალისტური ხედვის და პროფესიული აზროვნების ჩამოყალიბებას, აგრეთვე კლუბის მიზანს წარმოადგენს კინო კულტურისა და ეროვნული ფილმის სიყვარულის გაღვივება.

4. რობოტიკის კლუბი—კოორდინატორი ერეკლე კირკიტაძე.

მიზანი—განათლებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია; თავისუფალი დროის მიზნობრივად გახარჯვა; გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენა;

რობოტექნიკის კლუბი მიზნად ისახავს: STEM საგნების პოპულარიზაციას (ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმატიკა, ინჟინერია). ბავშვებში მომავლის ტექნოლოგიების დანერგვას, განვითარებას. აქ ბავშვები ისწავლიან: სხვადასხვა, მრავალფუნქციური რობოტების და სისტემების აწყობას, რომელსაც დააპროგრამებენ და მისცემენ სხვადასხვა დავალებებს, მარტივ პროგრამირების ენებს და სხვა. ისწავლიან გუნდურ მუშაობას.

5. ფოტო-ვიდეო გადაღების შემსწავლელი კლუბი—კოორდინატორი პავლე წულაია.

მიზანი—მოსწავლეს გამოუმუშაოს ტექნიკურად სრულფასოვანი და კომპოზიციურად დახვეწილი ფოტოსურათის და ვიდეოს გადასაღებად საჭირო საბაზისო უნარები. პროგრამის ფარგლებში შეისწავლიან თანამედროვე აპარატურას და მათ გამოყენებას გადაღებისას; შუქისა და კომპოზიციის საფუძვლებს; ფოტო გამოსახულების კომპიუტერული დამუშავების საფუძვლებს. შეისწავლიან ფოტოგრაფიის ტექნიკას, ვიდეო კამერის და ვიდეო გადაღებისთვის საჭირო დამხმარე აღჭურვილობას, მიიღებენ ზოგად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

ამ კლუბების საქმიანობაზე ჩვენ შევეცდებით, რომ პერიოდულად წარმოგიდგინოთ ინფორმაციები.

დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ რობოტიკის კლუბის კოორდინატორს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტს, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდიანტს, „ლეონარდო და ვინჩის“ 2020 წლის ფინალისტსა და პრიზიორს, ერეკლე კირკიტაძეს.

სტუდენტის რეალობად ქცეული პროექტები

ტექნოლოგიური ინოვაციების მუდმივად განვითარებად სამყაროში არსებობენ ადამიანები, რომელთა იდეებიც გვეხმარება, რომ ჩვენი ყოველდღიურობა და ცვალებად სამყაროსთან ურთიერთობა გაგვიმარტივდეს. ასეთ ნოვატორებს შორისაა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის–„ელექტრული ინჟინერია“ მეორე კურსის სტუდენტი ერეკლე კირკიტაძე, რომელმაც რამდენიმე დღის წინ, ჭკვიანი სახლის კონცეფცია, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა მშობლიურ უნივერსიტეტში, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე წარადგინა. გარდა ამისა, მან აუდიტორიას სამაშველო ოპერაციების სფეროში დრონის ტექნოლოგიის გამოყენების მიმართულებით სიახლეები გაუზიარა.

ერეკლე კირკიტაძე ჯერ მეორე კურსის სტუდენტია და უკვე არის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდიატი. „ლეონარდო და ვინჩის“ კონკურსის 2020 წლის ფინალისტი და საპრიზო ადგილის მფლობელი.

EDU.ARIS.GE – სთან საუბარში მომავალი ინჟინერი საკუთარ გამოგონებაზე, მის დახვეწასა და განვითარებაზე საუბრობს, რომელიც სამაშველო ოპერაციების დროს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის პროცესს გააუმჯობესებს. გვიმხელს იმასაც, თუ როგორ მუშაობს საკუთარი გამოგონების დახმარებით საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე და როგორ ცვლის ტექნოლოგიური განვითარება სამაშველო დრონების პოტენციალს საგანგებო რეაგირების სამსახურებისთვის.

გვიყვება, რომ ტექნოლოგიებისადმი სიყვარული ბავშვობიდან აქვს და კომპიუტერული მეცნიერებებით ჯერ კიდევ სკოლაში დაინტერესდა. მამის სამაშველო სამსახურში საქმიანობა კი დაეხმარა, რომ მოეფიქრებინა იდეა, რომელიც სამეცნიერო და ტექნოლოგიური სფეროების ყურადღებას მიიპყრობდა. ასე შექმნა ერეკლემ პირველი სერიოზული ნამუშევარი, სამაშველო დრონი, რომელმაც გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ საპრიზო ადგილი მოიპოვა.

„მეხანძრე-მაშველ დრონს შეუძლია, ხანძარი ნახშირორჟანგის ყუმბარებით ჩააქროს და დაშავებულებს საჭირო ტვირთი ადგილზე მიუტანოს, ეს იქნება პირველადი დახმარების ნივთები, თუ საკვები. მუშაობის დროს ბევრი ნიუანსი იყო გასათვალისწინებელი. დრონზე დიდი თერმული კამერა მონტაჟდება, რომელიც ადამიანებს ხედავს თოვლის, კედლის ქვეშ, თუმცა ეს კამერა საკმაოდ ძვირია. ამ ეტაპზე 15 კილო ტვირთის აწევა შეუძლია, მაგალითად, თუ ტურისტი ტყეში დაიკარგა, სანამ ვერტმფრენი მის ძებნას დაიწყებს, დრონი უფრო მოსახერხებელია, უფრო მარტივად შეუძლია იპოვოს ადამიანი, თვითონ დაასკანეროს ტერიტორია და ინფორმაცია მოგვაწოდოს. იმართება ტელეფონით, კომპიუტერით, თავისთავად პულტით და ავტომატური მისიების შესრულებაც შეუძლია“ –გვიხსნის ერეკლე.

თავის დროზე, მოსწავლე გამომგონებელმა მომავალი პროფესიის არჩევაზე ბევრი იფიქრა და რადგან კომპიუტერული მეცნიერებები და ელექტრონული ინჟინერია მისი საყვარელი სფეროები იყო, აბიტურიენტის სარეგისტრაციო ჩამონათვალში ორივე შეიტანა. ეროვნული გამოცდების შედეგებით კი სწავლა ელექტრულ ინჟინერიაზე განაგრძო.

„კარგია, რომ ამ სპეციალობაზე ვსწავლობ. თან, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, რაც ახალგაზრდებს საშუალებას გვაძლევს, სახელმწიფოს დაფინანსებით გავხდეთ ბაზარზე ყველაზე საჭირო კადრები. გვინდა თუ არა, სამყარო ვითარდება და ჩვენც უნდა ავუწყოთ ფეხი. ექიმებს, იურისტებს, სხვადასხვა ორგანიზაციებს, ბევრს სჭირდება კარგი ინჟინერი. ტექნოლოგიების გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია და შესაბამისად, ამ დარგში დასაქმება ყველგან შეგვიძლია“, –აღნიშნავს ერეკლე.

ახლა უკვე სტუდენტი ინჟინერი ამბობს, რომ მოსწავლეობის დროს შექმნილი მაშველი დრონის კიდევ უფრო დახვეწა შეუძლია. თუ ძრავებს შეცვლის და გააუმჯობესებს, მის გამოგონებას 20-25 კილო ტვირთის აწევაც შეეძლება, რაც სამაშველო სამსახურს მუშაობას გაუადვილებს და მას მეტი ადამიანის გადარჩენაში დაეხმარება.

კიდევ ერთი სიახლე, რასაც ერეკლე სამაშველო სფეროს სთავაზობს სახანძრო სისტემაა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დამატებით სამაშველო ჯგუფის გამოძახება თავად შეუძლია. სტუდენტი ინჟინერ-გამომგონებელი გვიხსნის, რით განსხვავდება მისი ნამუშევარი უკვე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებისგან.

„სხვა სისტემებისგან განსხვავებით, ეს ცეცხლის ალზე მუშაობს. სხვა მოწყობილობები ხედავენ კვამლს და შესაძლოა, იმ სისტემამ სიგარეტის კვამლიც ხანძრად აღიქვას, რაც მომხდარა კიდეც. ჩემი მოწყობილობა ამას გამორიცხავს. ხანძარს ქარის დაგრილების სისტემით აქრობს და რეალურ სიტუაციაში აქვს რელე, რომელიც ხანძრის დროს ნახშირორჟანგის სისტემას რთავს. რაც მთავარია, სისტემას შეუძლია თავად დაუკავშირდეს 112-ს დამატებითი სამაშველო ბრიგადის გამოსაძახებლად. ხელნაკეთი სისტემა, რომელიც მე ავაწყვე ძვირი არ ჯდება, 50-60 ლარამდეა, მაგრამ ეს მაკეტია და დაწესებულებებისთვის დაგვჭირდება უფრო ძლიერი რელე, ნახშირორჟანგის სისტემა და ცეცხლისალის სენსორი, რაც უფრო დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული“, –ამბობს ერეკლე.

როგორც გამომგონებელი გვიხსნის, მაკეტზე ბუნებრივი აირის უსაფრთხოების სისტემის დამონტაჟებაც შეუძლია, რაც სისტემას კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის.

სანამ მის მიერ დაპროექტებული სახანძრო სისტემა რეალური ობიექტების უსაფრთხოებაზე იზრუნებს, ერეკლემ თავისი სხვა იდეების რეალიზება საკუთარ საცხოვრებელ გარემოში, სახლში შეძლო. ამბობს, რომ მასალების სიძვირის გამო, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა ჯერ სახლში ვერ დაამონტაჟა, თუმცა ოჯახის წევრების გაოცება მაინც შეძლო, როცა ტელევიზორი ისე ჩაირთო, რომ მას არავინ მიჰკარებია.

„დედას გაკვირვება უნდა გენახათ, როცა ტელევიზორი თავისით ჩაირთო. ჭკვიანი სახლის მაკეტზე 2-3 თვე ვიმუშავე. ყველაფერი ხელით არის შექმნილი. ჭკვიან სახლში დავამონტაჟე მიკრო კონტროლერი, რომელსაც შეგვიძლია, დავაკავშიროთ ინტერნეტი და გუგლის საძიებოს ასისტენტის დახმარებით, სასურველი ქმედება შევასრულებინოთ. მაგალითად, ჩავრთოთ შუქი, გაგრილების სისტემა, გათბობა, ტელევიზორი და ა.შ. სახლზე დამონტაჟებულია მზის პანელები, ასევე ქარის გენერატორები, რაც სახლის ელექტროენერგიით მომარაგებას უზრუნველყოფს.

„ჭიშკარი აღჭურვილია მანქანის ამოცნობის სისტემით, ხოლო სახლის კარები იღება ბარათებით. სისტემის დახმარებით შეგვიძლია, ვაკონტროლოთ, რა ხდება მთელ პერიმეტრზე. როცა სამსახურიდან სახლში ვბრუნდები, შემიძლია, წინასწარ ჩავრთო გათბობა, გაგრილება. პროგრამულად ბევრი წვალება მომიწია, მაგრამ როცა მაკეტიდან რეალობა სახლში გადავიტანე, შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ“ –გვიყვება ერეკლე.

ის ფიქრობს, რომ ელექტრული ინჟინერია, კომპიუტერულ მეცნიერებებთან ერთად მომავლის პროფესიაა უკეთესი ცხოვრების პირობების მოწყობის პერსპექტივით. ამიტომ, ცდილობს, რომ ამ სპეციალობების მიმართ ინტერესი სკოლის მოსწავლეებს გაუღვივოს. ერეკლე ახლა თერჯოლის მოსწავლეთა ცენტრში რობოტექნიკის კლუბის ხელმძღვანელია:

„ვცდილობ, მოსწავლეებს დავანახვო ამ სპეციალობების როლი ჩვენს ცხოვრებაში. დაინტერესება საკმაოდ დიდია და მიხარია, როცა შემიძლია, მათ ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო“.

ერეკლე კირკიტაძე საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში გეგმავს. სასწავლო პროგრამა მას საშუალებას აძლევს, ერთი სემესტრი იტალიაში, ლაკვილას უნივერსიტეტში ისწავლოს და ორმაგი დიპლომი აიღოს. ფიქრობს, რომ საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა მას დაეხმარება, გახდეს ძლიერი ინჟინერი, რაც საშუალებას მისცემს იმუშაოს ახალ გამოგონებებზე, არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე და ხელი შეუწყოს უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნას ადამიანებისთვის.

ერეკლეს სამომავლოდ ბევრი საინტერესო სხვა იდეის განხორციელებაც სურს. წარმატებები ვუსურვოთ მას მომავლის ტექნოლოგიების ცხოვრებაში დასანერგად!

ღირსეულად დატოვებული თანამდებობა

უზრუნველად ცხოვრობდა, ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა, მშობლები თავს ევლებოდნენ, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიისა და პედაგოგიკა-მეთოდიკის ფაკულტეტზე სწავლისას გამორჩეული იყო. ეწრის საშუალო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, მერე სკოლის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორად, დირექტორის მოადგილეთ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში. ბოლო წლებში, დირექტორად, მუშაობისას სრულად გამოამჟღავნა შესაძ-

ლებლობები. ყველა საფეხური გაიარა და დიდი გამოცდილება დააგროვა, მერე ოდნავ უმტყუნა ენერგიამ და მიიღო გადაწყვეტილება—დაეტოვებინა თანამდებობა.

ია ხვარეშია—ეწრის საშუალო სკოლის დირექტორი. თანამდებობიდან ღირსეულად წავიდა, მას არასოდეს ხიბლავდა თანამდებობები, განდიდება და პატივი. კარგად მახსოვს შეთავაზებები, რომელიც ხელმძღვანელი მუშაკებისაგან ჰქონდა, მაგრამ სკოლას და გაკვეთილებს ვერ ელეოდა.

ხანგრძლივ ამ წუთისოფელს არც ია არ გაუხარებია. „დამღუპველი“ აღმოჩნდა მისთვის ძმის—ნოდარ ხვარეშიას გარდაცვალება და დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა ოჯახის, სკოლის, მტერ-მოყვარის წინაშე. ატარებს ამ ტვირთს ქალბატონი ია, აგერ 23 წელიწადია და მისი გული მხოლოდ მაშინ ხარობს, როცა ნოდარის შვილებს, მოსწავლეებს უყურებს...

და დაიზარდნენ ნოდარის უღელი ბიჭები მაიზერი და ზეზვა—ორივემ უმაღლესი განათლება მიიღო და მაღალი თანამდებობები აქვთ. ნოდარის მეუღლე ღირსეული ქალბატონი, ლია ბრეგვაძე ძალიან ახალგაზრდა იყო მაშინ, შვილებს და ნოდარის ოჯახს შეალია ყმაწვილქალობა, ქვრივი ქვრივად დარჩა და ეამაყებათ მისი რძლობა, დედობა და მასწავლებლობა, მისი სინდისი და პატიოსნება. მაიზერს და ზეზვას იას, დედის და ბებიის ხელში არაფერი აკლდათ, გარდა მამის ძლიერი ხელისა.

დიდი სამეგობრო ჰყავდა ნოდარს, ლახვარი იყო მისი სიკვდილი ჩვენს გულებში, ყოველ დაბადების და გარდაცვალების დღეს მის საფლავთან ვიკრიბებოდით და პატივს მივაგებდით მის ხსოვნას. დრომ თავისი გაიტანა, ძველებური შემართება აღარ გვაქვს, უმრავლესობა საერთო მეგობართაგან აღარაა ცოცხალი და ხშირად ვეღარ მივაგებთ პატივს, თუმცა ჩვენს გულში სამუდამოდ დარჩება.

„ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლკარი თავს დაგვენგრა“—ო ნათქვამია. ხვარეშიების ოჯახში 2000 წელს ბოძი წაიქცა, მაგრამ სახლ-კარი თავს არ დანგრევიათ, კვლავ ძლიერია ნოდარ ხვარეშიას ოჯახი.

გააცილეს ია, ლამაზად, ისევე ღირსეულად, როგორიც იყო მუშაობის 30 წლის მანძილზე. კი მივუძღვენით სკოლის იუბილეს, მის გაცილებას და ახალი დირექტორის არჩევას მოკრძალებული წერილი, მაგრამ დაგვრჩა წერილები კურსდამთავრებულის, მოსწავლის, პედაგოგის, მშობლის, მეგობრის თვალით დანახულ იაზე და ვერ შეველიეთ...

ნათია ლომთაძე—კურსდამთავრებული

ჩემი კეთილი, თბილი, განათლებული, კეთილსინდისიერი ქალბატონი, ჩემი ია მასწავლებელი. გულს მივსებს ბავშვობის წლები, დღესასწაული იყო მისი ჩატარებული გაკვეთილები, მადლობა ღმერთს, რომ არსებობთ. გულის და სულის სიმდიდრე გამომყვა ია მასწავლებლისგან, ახლაც ჩამესმის მისი ხმა, რომელიც არასოდეს ყოფილა ერთფეროვანი, გამდიდრებული ვბრუნდებოდი სახლში და ოჯახში ვყვებოდი რა საოცარი იყო ია მასწავლებელი, იგი ბავშვობის ჯანსაღი ხერხემალია.

მზია დოღონაძე—მეზობელი და მეგობარი

ენერგიული, შემოქმედი, ნიჭიერი, ერთგული ია, ვუსურვებ ჯამრთელობას და შემართებას.

ელენე ჭელიშვილი—XII კლასის მოსწავლე

ია მასწავლებელი არის ნათელი მაგალითი, როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი, პროგრესზე ორიენტირებული ლიდერი, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ ეწრის სკოლა იყოს საუკეთესო. ჩემთვის იგი არ არის მარტო კარგი მასწავლებელი, ის არის სწორი ღირებულებების მქონე, სიკეთითა და სითბოთი სავსე ადამიანი, რომელთანაც ნებისმიერ დროს შეიძლება მიხვიდე რჩევის საკითხად, ყველა თაობის ეწრელისათვის ია მისაბაძი, პატივსაცემი პიროვნება, სიკეთით და სიყვარულით სავსე.

ნინა ბუცხრიკიძე—მშობელი

ბავშვის განვითარებაში მასწავლებელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მასწავლებელი უნდა იყოს ავტორიტეტი, მოსწავლეს უნდა უყვარდეს და აფასებდეს მას. მიხარია, რომ ჩემს შვილებს ჰყავს ასეთი ადამიანები ეწრის პედაგოგიური კოლექტივის სახით, აქ ყოველთვის ცდილობენ შექმნან სწავლისათვის შესაფერი გარემო, ქალბატონი ია კი არის ადამიანი, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი, როცა საქმე ჩემი შვილის მომავალს ეხება. ინტელექტი, განათლება, ღირსება იას მუდმივი თანამგზავრია, მიყვარს მისი წრფელი განწყობა და მართალი სიტყვა.

ბედნიერებაა იასთან ურთიერთობა, მისი სიტყვა მნიშვნელოვანია ჩვენთვის, იგი იმედი და ძალაა სოფლისთვის, ახალგაზრდებისათვის. გვიხარია ისიც, რომ ღირსეული ღირსეულით შეიცვალა—მირანდა ჟორჟოლაძე საინტერესო ადამიანია, საინტერესოდ წარიმართება ეწრელ მოსწავლეთა სწავლების საქმე მომავალშიც.

ქალბატონო ია, მასწავლებელო—თქვენ უშურველად ჩადეთ გული თქვენს ნაღვაწ სკოლაში, კოლექტივში, აღსაზრდელებში, ოჯახში, შეგვიძლია წარმოვადგინოთ გრძელი სია თქვენი საქმეებისა, ამიტომ უყვარხართ ყველას, ეს სიყვარული არასდროს მოგაკლდება.

***

იამ მოიხადა ხელმძღვანელის ვალი, მაგრამ მასწავლებლის ვალს იგი კარგა ხანს ვერ მოიხდის. ია ხვარეშია სჭირდება სკოლას, როგორც გამოცდილი მასწავლებელი, ყველა საქმეში ღრმად ჩახედული, ადამიანი, რომელიც სიკეთისათვის, სიმართლისათვის, სიყვარულის გაცემისათვის არის დაბადებული, მისაბაძია იგი თავმდაბლობაში, მოთმინებაში, სიმშვიდეში, უანგარობაში...

ჟუჟუნა ცხადაძე

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან!

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების იმ კურსდამთავრებულების, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებელში 100%-იანი გრანტი მოიპოვეს, ამჯერად კი წარმოგიდგენთ 70%-იანი გრანტის მფლობელებს...

ლიზი მაკარიძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე.

ნატა კახიძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტზე.

ირმა ბრეგაძე—ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა თავისუფალ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.



გურამ თორთლაძე—ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე.

ლიკა გოგოლაშვილი—ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა თავისუფალ უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე.

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან!

ლიკა ჩაფიძე—თუზის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტზე.

თათია ქარქაშაძე—ღვანკითის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე.

გოგა ფორჩხიძე—ჭოგნარის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

ხატია აბესაძე—ძევრის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა კავკასიის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ნატალი ხოშტარია—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. ჩაირიცხა კავკასიის უნივერსიტეტში პიარი და კომუნიკაციების ფაკულტეტზე.

ელენე გამსახურდაშვილი—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. ჩაირიცხა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში უცხო ენების (ინგლისური) ფაკულტეტზე.

წარმატებები თქვენ!

გეგა გაბრიჭიძე—ნორჩი მოჭადრაკე

ეს სახელი და გვარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ გაჟღერებულა. ნიჭიერ მოჭადრაკეს ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე წვრთნის.

გეგა საჭადრაკო გზაზე წარმატებით მიდის. ის თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში სწავლობს. ჯერ მხოლოდ მე-5 კლასელია.

ზესტაფონში გამართულ „ჯემალ მახათაძის“ საჭადრაკო ტურნირში, 10 წლამდე ჭაბუკთა შორის, გეგამ წარმატებით იასპარეზა. 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა დააგროვა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. იგი დაჯილდოვდა შესაბამისი ხარისხის დიპლომით, თასით, მედლით და ფულადი პრემიით. მანვე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ქ. ტყიბულში გამართულ საჭადრაკო ფესტივალზე „ტყიბული-2023“.

დადებითად შეფასდა კარგი მომავლის მქონე ნორჩი მოჭადრაკის გამოსვლა 5-12 ნოემბერს ქ. ქუთაისში გამართულ მაია ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირზეც. სხვადასხვა კატეგორიაში, 10 წლამდე ჭაბუკთა შორის 60 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირი შვეიცარიული სისტემით 7 ტურად მიმდინარეობდა, სადაც გეგამ 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა დააგროვა და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა პრიზიორებს.

მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ მწვრთნელს მერი ჩაფიჩაძეს თავის მოსწავლეებთან ერთად, იმ თავდაუზოგავი შრომის, ძალისხმევის და პროფესიონალიზმისათვის, რომელსაც მერი მთელი სულით და გულით დებს თავის აღსაზრდელებში.

თავის მხრივ სასიხარულოა, რომ ნორჩი მოჭადრაკეები საყვარელ პედაგოგს და არა მხოლოდ მას წარმატებული ნაბიჯებით ახარებენ.

გურამ ბერეკაშვილის სახელობის ტურნირი ფეხბურთში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით ბევრი რამ კეთდება ჩვენს ქალაქსა და სოფლებში სპორტის, კერძოდ ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის.

თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით ახლახანს მოწყობილმა თორმეტწლამდე ასაკის ბავშვ ფეხბურთელთა გუნდების ტურნირმა, რომელიც თერჯოლის „საპოვნელას“ ყოფილი ფეხბურთელის გურამ ბერეკაშვილის ხსოვნას მიეძღვნა, ცხოველი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის.

რედაქციაში გვესტუმრა და ტურნირის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა თერჯოლის „საპოვნელას“ ყოფილმა ფეხურთელმა დიმიტრი არეშიძემ.

ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ დიმას მაღალტექნიკური თამაში „საპოვნელას“ რიგებში. ახლა ის თავის მდიდარ გამოცდილებას პატარა ბავშვებს გადასცემს და იმედი აქვს, რომ თერჯოლაში დიდი ფეხბურთი ისევ აღორძინდება.

როგორც პატარა ბიჭების დამრიგებელმა გვიამბო თერჯოლის მინიფეხბურთის სტადიონზე გამართული ტურნირი მიმდინარეობდა წრიული სისტემით, ადგილები კი შემდეგნაირად განაწილდა: პირველ ადგილს ქუთაისის „მართვე“ დაეუფლა, მეორე იყო თერჯოლის „საპოვნელა“, მესამე-მეოთხე ადგილები კი ქვ. სიმონეთელთა და ზესტაფონელთა გუნდებმა გაინაწილეს.

გუნდებსა და ფეხბურთელებს შესაბამისი ხარისხის ჯილდოები მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ გადასცათ.

მანვე დამოძღვრა დიდ ფეხბურთელობაზე მეოცნებე პატარა ბიჭები, დაოსტატება და მომავალი წარმატებები უსურვა მათ.

ეს ხვიჩა კვარაცხელიაა!

ჩვენი ხვიჩა კვარაცხელია ევროპის 20 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დაასახელეს!

ახლახანს, ხვიჩა კვარაცხელიას მიერ „ატალანტას“ კარში გატანილი ბურთი, იტალიის სერია A-ში, 2023 წლის საუკეთესო გოლად აღიარეს. საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ თავდამსხმელს ჯილდო იტალიის წლის ტრადიციულ საფეხბურთო დაჯილდოებაზე, მილანში, გადასცეს.

ვულოცავთ!

ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლის“ „ნაპოვნი“ ხვიჩა კვარაცხელიაა!

იტალიელთა თვალს არაფერი გამოეპარება! სად? სად დაჰკრეს თვალი ამ ლამაზ ჩხოროწყუელ ბიჭს—ასე, ფანტასტიკურ თამაშს რომ სთავაზობს ათი და ასი ათასობით ტრიბუნებ-დახუნძლულ სტადიონებს? არადა, ჯერ სად არის. მხოლოდ ოცდაორი წელია მის „ანგარიშზე!“

დიეგო მარადონას შემდეგ ვინ იფიქრებდა იტალიელ ტიფოზებს კიდევ თუ ვინმე ააფორიაქებდათ და საღერღელს აუშლიდათ!

ხვიჩამ მიძინებული ტრიბუნები შეაღვიძა! „ნაპოლი“ თავის მჩქეფარე ცხოვრებას დაუბრუნა!

„ნაპოლი“ ახლა ბედნიერია! იტალიელები მეტი ღიმილით ესალმებიან ერთმანეთს!..

ქუჩებში ფეხბურთის თემა კვლავ პირველობს...

იტალიელებმა მათთვის ძნელად წარმოსათქმელ „კვარაცხელიას“ სასწრაფოდ ჩამოაშორეს „ცხელია“ და „კვარას“ დაუმკვიდრეს ადგილი საფეხბურთო ლექსიკონში... ტიფოზებმა თავიანთ კერპად გაიხადეს. მათ თავიანთი საქმე იციან!

ხვიჩამ ერთი ხელის მოსმით მოიგო ფეხბურთის მოყვარულთა გულები.

დღეს იქაური სარეკლამო სამსახურების მთავარი სამუშაო მერიდიანი უპირველესად ხვიჩა კვარაცხელიას სარეკლამო თემით არის დაკავებული.

მას ადამიანები ცნობენ, „კვარა“, „კვარა“... ხელს უქნევენ მოხუცებიც და ახალგაზრდებიც, ქალებიცა და კაცებიც...

რაც შეეხება ქართველ გულშემატკივრებს (და არა მხოლოდ



მათ), ცნობისმოყვარეობას სრულად დააკმაყოფილებს ახლახან წიგნის ბაზარზე გამოსული ახალგაზრდა მწერლის გიორგი კეკელიძის წიგნი—„ხვიჩა ვარსკვლავი, სახელად ვარსკვლავი“.

წიგნი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ „ფეხბურთი“ ამოუწურავი თემაა.

რომ ფეხბურთი არის ჩვენი სიხარული, განცდა, შეგონება და რა თქმა უნდა მოწინააღმდეგეთა კარში... ბურთის შეგორება!

ნუგზარ გამყრელიძე

ჯანსუყ კობახიძეს დიდი სიყვარულით და სითბოთი ვულოცავთ დაბადების დღეს. მრავალჟამიერ!

ახლოგლები

„სამანიშვილის დედინაცვალი“ და მოხიბლული მაყურებელი

კულტურის სახლის დარბაზი დათქმულ დროს, 5 დეკემბერს, ზუსტად 14 საათზე ხალხით გაივსო. აქ იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, სხვა თანამშრომლები, საკრებულოს დეპუტატთა ერთი ნაწილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, საჯარო სკოლების დირექტორები, პედაგოგები, სხვა მოწვეული თუ მოუწვეველი სტუმრები, დარბაზში იყო მამა ქრისტეფორე და ძევრელები მრავლად, მ.შ. ახალდაქორწინებული წყვილები თორნიკე ფანჩულიძე და თამარ თავბერიძე, დავით მეფარიძე და ლანა ლომსიანიძე.

ძევრის საჯარო სკოლა (დირექტორი მანუჩარ ფანჩულიძე) უკვე მერვე სპექტაკლს მართავს ამ სცენაზე. მანუჩარ ფანჩულიძემ მოკლე შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა ფაქტს იმის შესახებ, რომ სპექტაკლისა და თეატრის არსებობა სკოლაში ტრადიციად დამკვიდრდა და მასაც ტრადიციულად მოკლე სიტყვის თქმა უწევს. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, რესურსცენტრს მხარდაჭერისათვის, მოწვეულ სტუმრებს, ყველას, ვინც დაინტერესდა სპექტაკლით. სიტყვა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ მანუჩარ რობაქიძეს გადასცა, რომელმაც თავის მხრივ მადლობა გადაუხადა სკოლას, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მამა ქრისტეფორეს, სპექტაკლის რეჟისორს და დამფინანსებელს.

***

თაობები მიდიან, მაგრამ მოდიან კიდეც, ძევრელ მოსწავლეებს ისე აქვთ სცენა დაპყრობილი, როლები მორგებული, თითქოს ნამდვილი მსახიობები იყვნენ. სანამ სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“ დაიწყებოდა უჩვენეს 6 წუთიანი დოკუმენტური ფილმი „შინდისის გმირები“, ძევრელი მოსწავლეების მონაწილეობით. ამ ფილმმა თბილისის საბავშვო ფესტივალზე გაიმარჯვა და მიიღო მთავარი პრიზი—ოქროს პეპელა. ეს იყო „ნამდვილი“ ომის სცენები, გაცოცხლდა 2008 წლის აგვისტო, ფილმის მსვლელობისას მონაწილეთა ერთი ჯგუფი სცენაზე იდგა, თითქოს „საპატიო ყარაულში“. მანუჩარმა გაიხსენა რუსეთ-საქართველოს ომს შეწირული ძევრელი შმაგი სოფრომაძე, რომელიც დაცხრილეს იმისათვის, რომ ქართულ დროშას ფეხი არ დაადგა. ამ ფილმში ბიჭი დროშას მოაფრიალებს, სიმბოლურად ეს შმაგის შვილიაო—მანუჩარმა.

„ჩემი ცხოვრების გზაზე“

დიდი ქართველი მწერალი, ჩვენი თანამემამულე, დავით კლდიაშვილი მოგონებებში—ჩემი ცხოვრების გზაზე წერს: გატაცებით ნაწერია სამანიშვილის დედინაცვალი, ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი მეგობრის კონდრატი მხეიძის წყალობით. მას და სხვებსაც ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხრობის შინაარსს, წვრილმანებს. გაზეთ „მოამბის“ რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა—ჟურნალისათვის რამე გამოაგზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი, რომელიც „სამანიშვილის დედინაცვალშია“ გამოყენებული, პლატონის სიზმარი. მხეიძეს ვუთხარი—როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა რედაქციას ეს პატარა სიზმარი, „ნუ სულელობ“—შემომიტია მან, შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება, არ გააგზავნო იცოდე. დავუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში დაიწერა მოზრდილი მოთხრობაო“. მოთხრობას დიდი აღტაცება გამოუწვევია რედაქციაში, „უსაყვედურეს“ თურმე—ასე მალე დაამთავრე სამანიშვილის მოგზაურობა, გადმოსულიყავი ქართლში, კახეთში, რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვინე დედინაცვალი, შე ზარმაცო დათიკო... შენი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილიო...

და იდგმება საქართველოს სცენებზე 1897 წლიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“. დრო კლდიაშვილს ვერაფერს აკლებს, პირიქით...

„სამანიშვილის დედინაცვალი“

„სამანიშვილის დედინაცვალი“ გააცოცხლეს ძევრელმა X-XI-XII კლასების მოსწავლეებმა და მოხიბლეს მაყურებელი, ნათლად იქნა დანახული მოთხრობის გმირების ხასიათი, განწყობა, შინაგანი თვისება. როლები კი ასე იყო განაწილებული: ბეკინა—ავთო ყურაშვილი, პლატონი—ვოვა ფანჩულიძე, მელანო—მარიამ მეფარიძე, კირილე—ლუკა ფანჩულიძე, დარიკო—ნინო მეფარიძე, არისტო—თამაზ ჭანტურიძე, ელენე—ანანო ჭანტურიძე, ნინო—თაკო ხეცაძე, „პატარა ბეკინა“—სანდრო მეფარიძე. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა ნიკა კუტალაძემ, გიორგი გოგოლაძემ, განათება ავთო ხოსიაშვილის, სუფლიორი ბარბარე კალატოზი.

სპექტაკლის მხარდამჭერია ძევრის საჯარო სკოლის ყოფილი კურსდამთავრებული ზვიად მეფარიძე.

ათი წელია ძევრის სკოლის მოსწავლეებს „მსახიობის ხელოვნებას“ აზიარებს და სპექტაკლებს მართავს რეჟისორი ტატო პატარიძე.

რეჟისორი სპექტაკლის დასასრულს სცენაზე გამოვიდა. იგი მოეფერა მონაწილე მოსწავლეებს, მიიღო ახალი დავალებაც—მომავალ წელს „სტუმარ-მასპინძლის“ დადგმის შესახებ.

დარბაზი ფეხზე იდგა და დიდხანს, ძალიან დიდხანს უკრავდა ტაშს...

სპექტაკლის მთელ მსვლელობას ფონად დები იშხნელების სიმღერა გასდევდა.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872